# სახალხო გაზეთი

№ 346 პარასკევი, 8 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 346

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—მის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტლვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირუს მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებების მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ტელეგ. ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი" ½ წლით (1 ივლისიდან წლის ბოლომდის) ღირს 4 მ. 80 კ.

## დ. ყვირილაში

„ხორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხელდრა ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.



სამხატვრო-საისტორიო და სამეცნიერო ანატომიური მუზეუმი! პარიზის მხატვრული პანორამა. მხატვრულ-პლასტიკური და მექანიკური ფიგურები და პიუსტები: ზოოლოგიიდან, ეთნოგრაფიიდან, მითოლოგიიდან. არა ჩვეულებრივი და სიმცლენი.

სამეცნიერო-ანატომიური განყოფილება: ანატომია, [illegible] ფობანი. აღმოსავლეთის ანუ აზიური სამ ნაირი ჭირი. ახალი ამბავი! ტფილისში პირველად სირენა ანუ თევზ-კაცა. მუზეუმში შესვლა 30 კ., ბავშვები, მოსწავლენი და ჯარის დაბალი კაცნი 15 კ., ანატომიურ განყოფილებაში—25 კ. ქ.ლებისთვის ოთხშაბათობით. მუზეუმი იმყოფება მიხეილის პროსპექტზე, ხინემატოგრაფ «აპოლოს» გვერდით. პატივისცემით ზელოდინისა. (50—1338—7)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 6 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—86)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. ამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მოლოდინიშვილი ვ. ვ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., დროებით წასულია.

მზარეულოვი მ. ა.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

თრემბოვეცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. დროებით წასულია.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. დროებით წასულია.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემდეგ. სადღისოდ. (წ.—1089—506)

## სურამში

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი

სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი

## ექიმი

კბილისა

ისიდორე ჟანტურია

გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329—2)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა.

## ახალი კლუბი

შაბათს, 9 ივლისს, 1911 წ.

საზაფხულო თეატრის სცენაზე

## საოჯახო საღამო

I

ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწინდნენ

2 მოქმ. კომედ. თ. რ. ერისთავისა.

II

საკონცერტო განყოფილება.

ბაღში სიმებიანი ორკესტრი და საზანდარი.

კლუბში შესვლის ფასი: კაცებზე 1 მ., ქალებისაგან 50 კ., სტუდენტებზე 25 კ., თეატრში ადგილების ფასი 10 კაპ -დან 50 კაპ. (2—1375—1)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდას ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. ხტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. ხობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

## ახალსთუმანში

კბილის ექიმი

## ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერ-მარქაროვისა. (თ.—1333—19)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—55)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (თ—92)

## ქუთაისში

## ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგიოსელიანის სახლი. (თ.—1321—27)

## შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა

ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა უდიდეს ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—35)


# ტფილისი, 8 ივლისი.

**სპარსეთის ამბები.** თოფების სროლა, ეს გარეგნული გამოხატულება ბრძოლისა, სპარსეთში თითქოს დიდი-ხანია მიისპო, მაგრამ ბრძოლა, არა ნაკლებ სასტიკი, დღემდის არ შეწყვეტილა. პირველ აღფრთოვანების წუთებმა რომ გაიარა და საჭირო გახდა დაღებითი, შემოქმედებითი მუშაობა, მაშინ გამოირკვა, რაოდენი შრომა და ენერგია დასჭირდებოდა „განაალებულ" სპარსეთს ჭეშმარიტი განახლებისათვის. აწეწილ-დაწეწილი ფინანსიური მდგომარეობა, გამოურკვეველი კანონ-მდებლობა და ბოლოს გასაოცარი სიმცირე ინტელიგენტ, ევროპიულად აღზრდილ სახელმწიფო მოღვაწეებისა შეუძლებლად ჰხდიდა სპარსეთის ცხოვრებისა და განვითარების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. რამდენიმე ხანი გავიდა, სპარსეთის რევოლიუციის შემდეგ, მაგრამ დღემდის ცოტად თუ ბევრად ხან-გრძლივი მთავრობის შედგენა ვერ მოახერხეს. ასეთი ანორმალური მდგომარეობა დიდს საფრთხეს წარმოადგენდა, რადგანაც ერთის მხრით უიმისოდაც აწეწილი საქმეები უფრო იწეწებოდა და მეორის მხრით ძველი წეს-წყობილების მომხრენი ფეხს იმაგრებდნენ. სპარსეთში ყოველთვის იყო ხოლმე და ეხლაც არის ძლიერი პარტია რეაქციონერებისა, რომელიც ძველი შაჰის უფლებათა აღდგენაზე ოცნებობდა. ის გაიძახოდა, რომ ახალი წეს-წყობილების დამცველებმა ძლიერი და მტკიცე მთავრობის შედგენა ვერ მოახერხეს, ხელს უწყობდა რეაქციონერთა პარტიის გაძლიერებას.

ალბად სწორედ ამის იმედი ჰქონდა ძველ შაჰს, როდესაც ადესას თავს ანებებდა და თავის დაკარგულ სამფლობელოში მიდიოდა. დღევანდელ დეპეშებიდან დაინახავს მკითხველი, რომ ძველი შაჰი მაჰმედ-ალი ჩასულა სპარსეთში და რეშტში უკვე განკარგულებებს ახდენს. რეგენტი მთავრობის შედგენასა სცდილობს და ძველი შაჰი კი თავის უფლებათა აღდგენაზე ოცნებობს.

მდგომარეობა სახუმარო არ არის. გადაყენებული შაჰი ვერ გაჰბედავდა სპარსეთში შესვლას, რაიმე ძალას რომ არა ჰგრძნობდეს. მისი სპარსეთში შესვლა ცხადი ბრძოლის გამოცხადებაა, და ბრძოლის დაწყება კი შეუძლებელი იქნებოდა, მას რომ თანაგრძნობნი არა ჰყოლოდა როგორც თვით სპარსეთში, ისე სპარსეთს გარედ, მაგალითად, ევროპაში. ამ რამდენისამე ხნის წინად გაზეთები გვატყობინებდნენ, მაჰმედ-ალი ევროპაში წავიდა სამოგზაუროდ, დაიარა გერმანია და ავსტრო-ვენგრიაო. რა გააკეთა მაშინ გადაყენებულმა შაჰმა ევროპაში, ამის თქმა დანამდვილებით არავის შეუძლიან, მაგრამ მის მოგზაურობას რომ დიპლომატიური ხასიათი ექნებოდა, ეს ეხლა გამოჩნდა. სულ ახლო მომავალი გვიჩვენებს, რა როლი ითამაშა ამ შემთხვევაში ევროპამ საზოგადოდ და განსაკუთრებით კი—ავსტრო-ვენგრია—გერმანიამ. მაგრამ რანაირიც უნდა იყოს ეს როლი, მაინც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გადაყენებული შაჰის გამოსვლა პოლიტიკურ ჰორიზონტზე დიდს მიხლა-მოხლას გამოიწვევს. როგორ დაახწევს თავს სპარსეთი ამ ახალს განსაცდელს, ამასაც ახლო მომავალი გვაჩვენებს.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ნამესტნიკისა და კავკასიის ჯარების მთავარ სარდლის მოადგილე გენერალი ნ. პ. შატილოვი** 6 ივლისს გუმბრს გაემგზავრა, სადაც მსროლელ რაზმთა აღლუმს დაესწრება. შატილოვი ტფილისში ხვალ დაბრუნდება.

✦ **ტფილისის პოლიცმეისტერი ზახარკინი** დასასვენებლად გუშინ გაემგზავრა ტფილისიდან.

✦ **კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტმა დაადგინა:** გააუმჯობესოს ოზურგეთის სააბრეშუმო საფეიქრო და სახელმწიფო ხაზინიდან ყოველ წლიურ ეძლეოდეს 500 მანეთი.

✦ **ხელოსანთაგან არჩეულ საგანგებო კომისიას,** რომელიც ხელოსანთა უფროსის **კ. სეროფიანცის** მოქმედებას რევიზიას უკეთებდა, გამოურკვევია რომ: 1909 წლის 10 იანვრიდან 1911 წლის 1 იანვრამდე შეგროვილა მოხელეთაგან შემოწირულება—**6,473 მან.** და 10 კაპ. ეს ფული გარდა 638 მან. 88 კაპ., რომელიც შეტანილი იყო სახელმწიფო ბანკში, **სეროფიანცს დაუხარჯავს** მოხელეთა საერთო კრების ნება-დაურთველად.

✦ **ნერსესიან სემინარიის ძველ** შენობაში, ახალ შენობის დამთავ- [illegible] **საავადმყოფო,** რომელიც ეხლა მუხრანის ქუჩაზეა.

✦ **სახელმწიფო ხაზინის თანხიდან** მუღანის მინდორში სარწყავ არხების გასაყვანად **4.175,154 მან.** გადაიდო, აქედან 1911 წლისათვის **765,375 მან.**

✦ **ქალაქის ტრამვაის მოძრაობის მეთვალყურე აღმასრულებელმა კომისიამ** ტრამვაის დირექცია კიდევ 18,000 ათასი მანეთით დააჯარიმა, რადგანაც მან ჯერ კიდევ ვერ გამოუშვა დაპირებული ვაგონების საკმაო რიცხვი.

✦ **ტფილისის მეპურეებმა** ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეიტანეს, პურის ფასს მოუმატეთ, რადგან ჩრდილო-კავკასიაში მოუსავლობის გამო ფქვილი გაძვირდაო. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა განსახილველად სპეციალურ კომისიას გადასცა.

✦ **ტრამვაისა და ფუნიკულერის მეთვალყურე ქალაქის კომისია,** 9 ივლისს, ტფ. ფუნიკულერს დაათვალიერებს.

✦ **ქალაქის სასაკლაოზე** დაკლულ ძროხას გუშინ-წინ ჭირი აღმოაჩნდა. სასაკლაოზე ჭირიან საქონლის აღმოჩენა ეს პირველი მაგალითია.

✦ **გადასახლებულნი.** 5 და 6 ივლისს ტფილისში შეიპყრეს მიხეილ ფურცხვანიძე, ხაჩატურ ოსიპოვი და სევერიანე აბზიანიძე, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით იყვნენ გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნდნენ.

✦ **ტფილისის ქიმიური ლაბორატორიის თხოვნით,** მესამე უბნის ბოქაულმა ვაჭარს სტეფანე ქობულოვისაგან წაიღო ნაყინის ნიმუშები. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ნაღებში კრახმალის წებოსა, შაქარსა და ცოტა კვერცხის გულს ურევდნენ. ნაყინს კი მატლეული, და დამპალ ხილისაგან აკეთებდნენ. ქობულოვი პასუხის გებაში მისცეს.

✦ **ტფილისის გუბერნატორმა** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ნება დართო სოფ. კავთისხევში გახსნას უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ადგილობრივ მღვდლის სიმონ ინდოშვილის გამგეობით.

✦ **კავკასიის მუზეუმის გამგეობამ** ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი მ. ა. ბონჩ ოსიგონოვსკი ანთროპოლოგიურ გამოკვლევის მოსახდენად თიანეთის მაზრაში გაჰგზავნა.

✦ 6 ივლისს, სასანიტარო მზრუნველმა თამამშევმა, მესამე უბნის ბოქაულის თანაშემწე-ხუდავერდოვის თანადასწრებით, ბებუთოვის ქუჩაზე მდებარე სახლების ეზოები დაათვალიერა. ბევრგან უსუფთაობა აღმოაჩინა და შესაფერი ოქმებიც შეადგინა.

✦ სასანიტარო ექიმმა გ. ფ. ნათიშვილმა და მზრუნველმა გ. ი. თოიძემ 5 მკათათვეს დაათვალიერეს მერვე უბანი და შემდეგი აღმოაჩინეს: სათავე მოედანი რიგზედ არ სუფთავდება. იქავე ქალაქის ფეხსადგილი ნახევრად დანგრეულია და ძლიერ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება, დესიმონოვის ქუჩაზე მდებარე სახლი № 29-სთან საქონლის ეზო აქავე ტრაქტირებით ძლიერ აშმორებული და ანტისანიტარულ მდგომარეობაში ყოფილა, იმავ მოედანზე ტფილისის საკრებულო საზოგადოებას სახლის № 33 ეზო, სადაც საქონელი ბინადრობს ნაგვით ყოფილა სავსე, ამავე ქუჩის № 3 სახლის ეზოც უსუფთაოდ ყოფილა შენახული. ექიმმა განკარგულება მოახდინა სასწრაფოდ დაასუფთაონ ყველაფერი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯარიმა მოელით.

## [illegible]

✦ 5 ივლისს ტფილისში მტკვარში იპოვეს გვამი საგურამოს მცხოვრებ ნიკოლოზ ცხვარაძისა, რომელიც 2 ივლისს დიდუბის მახლობლად მტკვარში დაიხრჩო.

✦ სასანიტარო კომისიამ, 6 ივლისს, ქალაქის მეშვიდე უბანში სასმელების დუქნები დათვალიერა. ბევრგან სანიტარულ წესების დარღვევა აღმოაჩინა. ორი დუქანი კომისიამ სულ დაკეტა, ხოლო დანარჩენი დუქნების პატრონებს წინადადება მისცა, სამის დღის განმავლობაში დუქნები გაასუფთაონ.

✦ 5 ივლისს ტფილისში თავი მოიწამლა ვლადიმერ მატკოვსკიმ. მასი მორჩენის იმედი აღარ აქვთ.

✦ 6 ივლისს მტკვარში დაიხრჩო ბანაობის დროს ჯარის კაცი ივანე პერევერტაილო. დამხრჩვალის გვამი ვერ იპოვეს.

✦ 5 ივლისს ქალაქის მეთერთმეტე უბანში პოლიციამ 11 კაცი შეიპყრო მათხოვრობისთვის.

✦ უკვალოდ დაიკარგა ტფილისში ნიკოლოზ ვარიანსკი.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ ქალაქის სასანიტარო აღმასრულებელ კომისიის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქმნა ტფილისის ქიმიურ ლაბორატორიის მმართველ ბ. გ. ალიბეგოვის წინადადება, რათა ქალაქის სასანიტარო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყოველ დღე ხდებოდეს. ეს საჭიროა სანოვაგის სისტემატიური გამოკვლევის მოსახდენად. ამ ჟამად გამაგრილებელი სასმელების დიდი გასავალი აქვს. ლაბორატორიამ კი რამდენიმე ნიმუშის გამოკვლევით აღმოაჩინა ფალსიფიკაცია ნაყინისა, ხილისა და გამგრილებელი წყლებისა რომელნიც სახარინითა და უვარგისი ხილეულობა—სულადისაგან კეთდება თურმე.

კომისიამ გადაწყვიტა ახლავე შეუდგეს ასეთ ქარხნების დათვალიერებას და ნიმუშების გამოკვლევას. უპირველესად კვასის, ლიმო-

ნადს, ბურახისა ლუდისას და სხვა სასმელების ნიმუშებს შეამოწმებენ.

✦ ორშაბათს, 4 ივნისს, შესდგა კრება სახალხო სახლთან არსებულ ყველა სექციის წარმომადგენელთა, რომელმაც განიხილა საკითხი სახალხო სახლის იჯარით აღებისა. კრებამ ზაფხულში წარმოდგენების მართვა შეუძლებლად სცნო და ამიტომ დაადგინა: წინადადება მისცეს ქალაქის გამგეობას სახალხო სახლი სექციებს მისცეს იჯარით 1911 წლის 1 სექტემბრიდან 1912 წლის 1 ივნისამდე.

## რკინის გზაზე

✦ ბაქოს სადგურზე, საბუნჩის სადგურის შენობის პირდაპირ, საბუნჩიდან მომავალი მატარებელი № 26 ორთქმავალის ქვეშ განზრახ ჩავარდა გლეხი პეტრე იაბლოჩკინი, რომელიც მატარებელმა შუაზე გასწყვიტა.

## თელავი

✦ მთავრობის განკარგულებით თელავის ქალთა წმ. ნინოს ოთხ კლასიანი სასწავლებელი შვიდ კლასიან გიმნაზიად გადააკეთეს. მომავალი სექტემბრიდან გაიხსნება მეხუთე კლასი. და შემდეგ ორი წლის განმავლობაში მეექვსე და მეშვიდე. წელს ამ სასწავლებლის ოთხი კლასის კურსი 23 ქალმა დაამთავრა. ამათში 2 რუსია, 9 სომეხი და 12 ქართველი. მათი გვარები: ე. ალნიაშვილი, ნ. ბარნოვი, მ. ვახვახიშვილი, თ. გომელაური, მ. ჯანაშვილი, მ. ჯანდიერი, ს. მაყაშვილი, ნ. მათიკაშვილი, მ. ცისკარაშვილი, თ. ჩოლოყაშვილი, ს. საგინაშვილი და ნ. მელვინეთ უხუცესიშვილი.

## ახალციხე

✦ რამდენიმე დღის წინედ აქაური მცხოვრები ყაზაზიანცი ტფილისში ყოფილა და ბალდოშვილისათვის ჩაუბარებია თავისი საყვარელი. ბალდოშვილს კი ქალი საროსკიპოსათვის მიუყიდნია. ამის ბალდოშვილს დანით მოჰკლა. მკვლელი შეიპყრეს.

## პროვინცია

✦ ხოფ. ხორბალო (თიანეთის მაზრა). ხუთი შეიარაღებული მძარცველი თავს დაესხა დავით დაშაშვილს და პეტრე ალბუტაშვილს, რომელთაც 200 მანეთზე მეტი წაართვეს და მიიმალნენ.

✦ სოფ. ფარეხში (თიანეთის მაზრა), ბოლო ხანებში ძლიერ გავრცელებულა ქურდობა. დღე არ გადის ისე, რომ თითო ოროლა ცხენი არ მოიპარონ. სოფლის მფარველი არავინაა.

✦ სოფ. წილკანი (დუშეთის მაზრა). 4 მკათათვეს, შუადღისას, სასოფლო კანცელარიასთან მისულან 8 შეიარაღებული უცნობი, რომელთაც საერობო დარაჯებისთვის უთქვამთ „კომანდის" ხალხი ვართო. და უბრძანებიათ დარაჯებისათვის ეხლავე კვალ და კვალ დაედევნეთ ყაჩაღებს, რომელთაც ეხლახან გაძარცვეს ერთი სოფლელიო. დარაჯები დაუყონებლივ დასდევნებიან ძონილ ყაჩაღებს. თავდამსხმელთ კი კანცელარიის მოსამსახურისათვის უბრძანებიათ, მამასახლისის სახლი გვიჩვენეო. გამოუხმიათ გარედ, მაგრამ შეიარაღებული ხალხის დანახვაზე მამასახლისი ნაუმაშვილი უკანვე ოთახში შებრუნებულა. ყაჩაღებს თოფები დაუხლიათ და მძიმედ დაუჭრიათ იგი. ნაუმაშვილი ვენახში დამალულა. ყაჩაღები კი დარწმუნებულან რომ ნაუმაშვილი მოვკალითო და მიმალულან. ნაუმაშვილი მეორე დილით გარდაიცვალა. დაჭრილია ერთი დარაჯიც.

# ჟურნალისტის დღიური

### 30.

**მოჯაჭვულებულ წრეში.**

მცირე ხანში მრავალი ცვლილება განიცადა ქართველების რუსულმა გაზეთმა „ზაკ. რეჩ"-მა. ჯერ იყო და დაარსეს ქართველთა ამხანაგობა ბეჭვდითი საქმისა რუსული გაზეთის გამოსაცემად. მართალია წესდებაში ეწერათ, ამხანაგობა ქართულ გაზეთის გამოცემასაც აპირებს, მაგრამ, როგორც თავიდანვე სჩანდა და მოსალოდნელი იყო, ეს მუხლი წესდებისა ცარიელ სიტყვად დარჩა. განვლო ხანმა და აღმოჩნდა, რომ მართლაც მოსახერხებელია ქართველთა ამხანაგობამ რუსული გაზეთი გამოსცეს. ისიც რომ არ იყოს, რუსულ ასოებით ველი მკითხველებიც გაუჩინოთ, და და უბრალო სახელის გულისთვის რად შევზღუდოთ ჩვენი გაზეთის ასპარეზიო. ალბად ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ისინი, ვინც „ქართველთა ამხანაგობა ბეჭვდითი საქმისა" გადააქცია „ამიერ-კავკასიის" ამხანაგობად, რომელმაც რუსული ასოებით აწყობილი ქართული გაზეთი უნდა გამოსცეს. 7 ივლისიდან კი ხელ-მძღვანელებს გაზეთისთვის გარეგნული სახე შეუცვლიათ და თავიანთ მეთაურ წერილისთვის საპროგრამო ხასიათი მიუციათ. თქმა არ უნდა, არსებობს განსაზღვრული ჯგუფი ქართველ ინტელიგენტებისა, რომელთაც აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ რუსულ გაზეთის გამოცემა. ასეთი გაზეთი მრავალჯერ დაუარსებიათ, მრავალჯერ მოსპობილა, მაგრამ გამოჩენილან მსურველნი და კვლავ განუახლებიათ გაზეთის გამოცემა. არის ჯგუფი, რომელსაც, როგორც ეტყობა, უნდა შეკავშირება, რაიმე იდეურ საფუძვლის გამონახვა, რომ თავიანთ არსებობას გასამართლებელი საბუთები გამოუძებნონ. „ბეჭდვითი საქმის ქართველთა ამხანაგობის" დაპრსებასა და მერე მის „ამიერ-კავკასიის" ამხანაგობად გადაკეთებაში ნათლად იხატება ეს სურვილი ორგანიზაციულად შეკავშირებისა. მაგრამ მუდმივი რყევაც ნათლად მოწმობს, რომ ამ ჯგუფს ვერავითარი შემაერთებელი, შემაკავშირებელი იდეიური საფუძველი ვერ გამოუჩენია. უამისოდ კი ყოვლად შეუძლებელია ორგანოს მტკიცე ნიადაგზე დაყენება, შეუძლებელია იგი განსაკუთრებით ჩვენში, სადაც გაზეთის მკითხველი ჯერჯერობით ისე უქვეის, როგორც ამა თუ იმ საზოგადოებრივ ჯგუფის გამომხატველ ორგანოს, და არა როგორც კომერციულ დაწესებულებას.

სრული იდეიური შეუთანხმებლობა და დაქსაქსულობა გამოსჭვივის იმ „საპროგრამო" მეთაურშიაც, რომელიც 7 ივლისის ნომერშია დაბეჭდილი. მართალია მეთაურის ავტორი ბრძანებს, ჩვენ ძალიან გარკვეული „credo" გვქონდაო, მაგრამ თვით 7 ივლისის წერილი წინაალმდეგს ამტკიცებს. უპირველესად ყოვლისა გაზეთი თურმე ჯან-საღ ნაციონალიზმს იცავდა და... საკაცობრიო ძმობას. ამასთანავე მას თურმე სრულიად არ აინტერესებდა უსულო „დოგმა" და კიდეც ებრძოდა „დემაგოგიზმს", ხოლო დიდს ყურადღებას აქცევდა იმ „რეალურ ფორმებს, რომელშიაც უნდა ჩამოყალიბებულიყო გაღვიძებული ეროვნული თვითშეგნება," სულ თავის იმედებს ამყარებდა იმ „რეალისტურ მიმდინარეობაზე," რომელიც თურმე უკვე დაბადებულა ხალხში.

დაწერილი, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ძალიან ბუნდოვან შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. უპირველეს ყოვლისა, რა არის ეს დოგმატიური მიმდინარეობა ეროვნულ საკითხში, რომელსაკ ავტორი, როგორც ეტყობა, რაღაც მანქანებით ხალხში აღმოცენებულ რეალისტურ მიმდინარეობას უპირისპირებს? დოგმატიზმი ბევრნაირია. როგორც წერილიდან სჩანს, ავტორს მხედველობაში აქვს ის დოგმატიზმი, რომელსაც ეროვნულ საკითხის გამორკვევაში უჩენია თავი. თუ ეს ასეა, საინტერესოა ვიცოდეთ, რაში გამოიხატა ეს დოგმატიზმი, ან სად, რომელ საზოგადოებრივ ქვეყნებში ნახა ეს დგომატიზმი? საინტერესოა იმის გაგებაც, თუ რა დამახასიათებელი თვისებანი განასხვავებს ამ დოგმატიურ ნაციონალიზმს რეალისტურ ნაციონალიზმისაგან?

საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას თავისი ისტორია აქვს. ცნებანი, შემუშავებულნი საზოგადოებრივ ცხოვრების დუღილის დროს, ცოტად თუ ბევრად გარკვეულ სახეს იღებენ და ყველა ვალდებულია იმ ცნებებს ისეთის თვალ-საზრისით შეხედოს, როგორც იგი საზოგადოებრივ ცხოვრების პროცესში ჩაისახა. ჩვენთვის, მაგალითად დოგმატიური ნაციონალიზმი, რომელსაც ავტორი მეთაურის წერილისა რეალისტურ ნაციონალიზმს უპირისპირებს, სრულიად ახალი, ჯერ-ჯერობით, ფუჭი ცნებაა, და ამიტომ არავითარი მნიშვნელობაც არა აქვს. ავტორს კი უეჭველად რაღაც ახალი აზრის გატარება სურდა. თუ ეს ასეა, მაშინ ამ აზრს დასაბუთებაც უნდოდა: თორემ პიტალო სიტყვის წამოსროლა, ჩვენ ამას ვემხრობით და ამას კი არა, ეს მოგვწონს და ის კი არაო, ძალიან ბუნდოვან შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, მეტი რომ არა ვსთქვათ.

**შინაური.**

# წ. კ. ს. სკოლის დაარსების გამო ქ. თელავში

3 ივლისს ქ. შ. წ. კ. გ. ს. თელავის განყოფილების საზოგადო კრება ჰქონდა. კრებაზე სხვათა შორის, პირველ-დაწყებით სკოლის დაარსებას შეეხნენ. ამ კითხვის ვარკვევის დროს ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთნი ამტკიცებდნენ, უფრო სასარგებლოა სკოლა სოფ. ყვარელში, განსვენებულ მგოსნის ილია ჭავჭავაძის კარ-მიდამოში დაარსდესო. ამ აზრს იმითი ასაბუთებდნენ, რომ სკოლის დაარსება ყვარელში საუკეთესო ძეგლი იქნება ილიასათვის, უფრო ნაკლებად დამსახ... მისი შინახვა. ხოლო(ც უფრო ყვარელში საჭიროებს სკოლის დაარსებას, ვიდრე თელავშიო.

მეორენი უპასუხებდნენ: თელავის განყოფილებას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიან ეხლავე მოათავსოს სკოლა ილიასეულ მამულში, რადგანაც ჯერ ფაქტიურად მის ხელში არ გადმოსულა მისი მესაკუთრეობა, და თუნდ კანონიერ მესაკუთრედაც ითვლებოდეს, სახლი ისეთ შეკეთებას საჭიროებს, რომ გამგეობას ერთდროულად ამდენი ხარჯის გაწევა შეუძლებლად მიაჩნია. რაც შეეხება სკოლის საჭიროებას თელავს ყვარელზე არა ნაკლებ უჭირს სკოლა ღარიბ დაბალ მცხოვრებთათვის: აუარებელ მთხოვნელებს აწ არსებულ პირველდაწყებით სკოლებში უარს ეუბნებიან უადგილობის გამო. გარდა ამისა, განყოფილების წევრების უმეტესობა თელავიდგანაა და უფრო სამართლიანი იქნებოდა მათის შვილებისთვის სკოლის დაარსება, რასაც უფრო მეტი ინტერესი და ხალისი მოჰყვება თელავის მცხოვრებთაგან განყოფილების საქმეებისადმი.

კრება მეორეთა აზრს დაეთანხმა და გადასწყვიტეს—დაარსდეს სკოლა ქ. თელავში პირველ ენკენისთვიდგანვე.

ამნაირად დიდი საკითხი სკოლის დაარსების შესახებ ქ. თელავში საზოგადო კრების მიერ დაუებითად იქმნა გადაწყვეტილი. ეტყობა გამგეობას მუყაითად უმუშავნია, მათში კინკლაობას, შინ-ჩხუბობას და ინტრიგებს ადგილი არ ჰქონია; იმედია შემდეგშიაც ასე თანხმობით იმუშავებენ და თავმჯდომარის ბ-ნ კახიძის აზრს,—რომ თელავის შემდეგ ვეცდებით ყვარელშიაც გავხსნათ სკოლაო, სისრულეში მოიყვანენ.

მხოლოდ ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ თვით მომავალ სკოლაზე.. წლევანდელმა მასწავლებელთათვის გამართულ კურსებმა ქ. თელავში ნათლად დაგვანახვეს, რომ კახეთისკენ ეროვნული სკოლისათვის შესაფერად მომზადებული მასწავლებელი არა გვყავს. ამას იმითი ვასაბუთებთ, რომ კურსებზე დამსწრე მასწავლებელნი გულ-უბრყვილოდ გაებნენ პოლიტიკანებისაგან დაგებულ მახეში. როდესაც ლექტორები და თვით მასწავლებელნიც ანგარიშიდგან წარბ-შეუხრელად აძლევდნენ პირველს განყოფილებაში რუსულად გაკვეთილებს, ჩვენ ეს ღალატად და მოუტევებელ ცოდვად მიგვაჩნია. 28 კაცში არც ერთი არ აღმოჩნდა იმისთანა, რომ ხმა აემაღლებინა და დაეგმო ასეთი უპრინციპობა და სალი პედაგოგიურის თვალთ-საზრისით გამოერკვია სიყალბე იმ ნიადაგისა, რომელზედაც დააყენეს კურსები მისმა ხელმძღვანელებმა. ეს ერთი.

მეორედ, ღალატი იმაში გამოიხატებოდა, რომ ბევრს მასწავლებელს, როგორც თელავში, ისე სოფლებშიაც რუსულიდან ლექსიური გაკვეთილების გარდა გაუვლია კიდევ რუსული ანბანი.—ერთს მასწავლებელს საინგილოში სოფ. ალიაბათში, სადაც ჰყოლია 40 მოსწავლე (30 ქართველია და 10 თათარი) ქართული ენა სრულებით არ უსწავლებია სკოლაში. ეტყობა მასწავლებელთ არა თუ ყურადღება არ მიუქცევია 1881 წლ. სამოსწავლო გეგმისთვის, რომელიც ორის ნამესტნიკისაგ ნაა დამტკიცებული და სრული უფლებაცა აქვს ისარგებლონ მით, არამედ ყურადღებაც არ მიუქცევიათ იმ პროგრამის პროექტისათვის, რომელიც წარსულ წელს თვალთ-მაქცურად შეაპარა დირექციამ სკოლებში. ეს პროექტი კი ისე შორს არ მიდის 1881 წლ. სამოსწავლო პლანიდგან, როგორც „ჩვენი" მასწავლებელნი წასულან პრაქტიკულად.

ჩვენ ამ ფაქტებს იმიტომ შევეხეთ, რომ ნამდვილი მასწავლებლის მოძებნა ძლიერ ძნელია. ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ, როგორც გამგეობისა, ისე საზოგადოებისა, რომ მარტო სკოლის დაარსება კი არ არის საქმე, საქმე მისი გონიერი და სალი პედაგოგიურის პრინციპების დაგვარად მოწყობაა საჭირო. ჩვენ რომ გვკითხონ, თელავში იდეალურად მოწყობილი სკოლაა საჭირო, თუნდ იმისთანა სკოლა, როგორიც იყო კავკავის ან ეხლა ბათუმის სკოლა არის. თელავის სკოლა თავისი მოწყობილობით, სწავლის მხრით, მაგალითი უნდა იყოს სხვა სკოლებისთვის სადაც განზრახ გამოუცდელი და შეუგნებელ ან უკუღმართ მასწავლებელთ ნიშნავენ, რომ ადვილად გააბან პოლიტიკანებმა თავის ქსელში.

თუ ადგილობრივ განყოფილებას სახსარი არ ექნება, ამისთანა სკოლის მოსაწყობად, მაშინ მთავარმა გამგეობამაც უნდა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში რას ემსგავსება, თუ თელავის სკოლაც იმისთანა უდღეო გამოდგება, როგორც ეს ზოგიერთ ადგილებში მოხდა (მაგალ. გიორგიწმინდაში და თონეთში). ან რა აზ-

# ქართული ენა

**(თანამედროვეთა ლაპარაკი და წერა *).**

ნაცვალსახელნი ვინმე, რამე, რომელიმე, ვიღაც, რაღაც პირდაპირ წამებულნი არიან. ამათთვის კანკლედობის კანონი გაწყვეტილია. კავშირები მე, და, ცა, რომელ ბრუნვაზედაც არ უნდა იჯდეს ნაცვალსახელი, ყოველთვის ბოლოშივე უნდა მოექცეს, ხოლო ნაცვალსახელის ფუძე კი წინ. სჯობია დავაკანკლედოთ თვით ეს ნაცვალსახელები:

**მხოლოობითი რიცხვი.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახ. | ვინმე | რამე | ვიღაცა | რაღაცა |
| ნათ. | ვისიმე | რისითმე | ვისიღაც | რი(ს)ღაც |
| მიც. | ვისმე | რასმე | ვისღაც | (რა(ს)ღაც |
| მოთხ. | ვინმე | რამე | ვი(ნ)ღაც | რამღაც |
| მოქმ. | ვისითმე | რითიმე | ვისითღაც | რითღაც |
| ცვალ. | ვისადმე | რადმე | ვისადღაც | სადღაც |
| წოდ. | (არა აქვს) | (არა აქვს) | (არა აქვს) | (არა აქ.). |

**მრავლობითი რიცხვი.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახ. | (არა აქვს) | რანიმე | (არა აქვს) | რანიღაც |
| ნათ. | „ | რათამე | „ | რათაღაც |
| მიც. | „ | რათამე | „ | რითაღაც |
| მოთხ. | „ | რათამე | „ | რათაღაც |
| მოქმ. | „ | რანითამე | „ | რანითაღაც |
| ცვალებ. | „ | რაებად | „ | რაებადღაც |
| წოდებ. | „ | (არა აქვს) | „ | „ |

ახლა ნაცვალსახელი რომელიმე დავაკანკლედოთ სახელარსებითთან ერთად.

| | მხოლოობ. რიცხვ. | მრავ. რიცხვ. |
|---|---|---|
| სახ. | რომელიმე კაცი | რომელნიმე კაცნი |
| ნათ. | რომლისამე კაცისა | რომელთამე კაცთა |
| მიც. | რომელსამე კაცსა | რომელთამე „ |
| მოთხ. | რომელ-მა(ნ)მე კაცმა | რომელთამე „ |
| მოქმ. | რომლითამე კაცითა | რომელნითამე კაცებითა |
| ცვალ. | რომლადმე კაცად | რომლებადმე კაცებად |
| წოდ. | (არა აქვს) | (არა აქვს) |

*) იხ. „სახ. გაზეთი" N 345.

ლაპარაკსა და წერაში კი სულ უკუღმა ვიტრიალებთ ამ კანონს ჩამოთვლილ ნაცვალსახელთა კანკლედობისას და ვამბობთ: ვისმეს (ვისმე-ს ნაცვლათ), რამეთი (რითმე ს ნაცვლათ), ვიღაცას (ვისღაც ის მაგიერ), რაღაცით (რითიღაც-ის ნაცვლათ), რომელიმეთი (რომელითმე-ს მაგიერ) და სხ. და სხ.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი თავისი ასე კანკლედობს:

| | მხოლოობ. რიცხ. | მრავ. რიც. |
|---|---|---|
| სახ. | თავისი | თ(ა)ვისნი |
| ნათ. | თავისისა ან თავისის | თ(ა)ვისთა |
| მიც. | თავისსა ან თავისს | თ(ა)ვისთა |
| მოთხ. | თავისმან ან თავისმა | თ(ა)ვისთა |
| მოქმ. | თავისითა | თ(ა)ვისით |
| ცვალ. | თავისად | თ(ა)ვისად |
| წოდებ. | (არა აქვს) | (არა აქვს). |

ამ ნაცვალ სახელს კი ხშირათ ისეთ სახეს ვაძლევთ, რომ გვიჭირდება გამოცნობა: ნაცვალსახელია ფრაზაში ხმარებული, თუ თავი—სახელი ჩვენის სხეულის ნაწილისა. მაგ. „გლეხმა დაიჭირა თავის ცხენის ქურდი". ამ ფრაზაში თავის არის ნათესაობითი ბრუნვა შეკვეცილის სახისა, სიტყვა თავი-სა (სხეულის ნაწილისა). უნდა კი ყოფილიყო იმის ალაგას ნაცვალსახელის თავისის ნათესაობითი ბრუნვა, რომელიც ასე იქნებოდა: თავისის (ან უკეთ თვისის) და უსახურ ლაპარაკსაც თავიდან ავიცდენდით.

უსახურათვე ვხმარობთ ხოლმე კუთვნილებით ნაცვალ სახელს მათი-ს, განსაკუთრებით მხოლოობითის რიცხვის მიცემით ბრუნვაზე. მათი ამ ბრუნვაზე იქმნება მათს. მაგ. „დღეს მათს შვილსა ვხედავდი". ამის ნაცვლათ ვამბობთ: დღეს მათ შვილსა ვხედავდი", და გამოდის ყოვლად უაზრობა თქმულისა. მათ არის მრავ. რიც. მიცემითი ბრუნვა პიროვნებითის ნაცვალ სახელის იგი-სა და არ ძალუძს კუთვნილება გამოხატოს ზემოთქმულ ფრაზაში სიტყვა შვილი-ს.

არც ის შეიძლება, სიტყვები ერთი და იგივე ყველა ბრუნვაზე ერთნაირათ ვიხმაროთ ხოლმე, როგორც დღესა შვრებიან. ამბობენ: „ერთი და იგივე ღვინოს ვსვამ", ან „ერთი და იგივე კაცმა მომცა". პირველ წინადადებაში ვითომ გვინდა ვთქვათ სულ ერთნაირ ღვინოსა ვსვამთო, და ის კი გამოდის, რომ სულ მე (და არა სხვა) ვსვამ ღვინოსაო. მეორეში, ვითომ იმის თქმა მინდა, რა კაცმაც ერთხელ მომცა, მეორეჯერაც იმავე კაცმა მომცამეთქი,—გამომდის კი, რომ რაღაც ერთი და იგივე ნივთი მომცა კაცმა (და არა სხვამ ვინმეს). სულ კი იმის ბრალია ასეთი არევა აზრთა და ნათქვამისა, რომ კანკლედობას არ დავსდევთ. ამ სიტყვებისათვისაც იგივე კანონია კანკლედობისა, როგორც სხვებისათვის. აჰა, ეს კანკლედობაცა.

| | მხოლოობ. რიც. | მრავლობ. რიც. |
|---|---|---|
| სახ. | ერთი და იგივე | ერთნი და იგინივე |
| ნათ. | ერთისა და იმისავე | ერთთა და იმათავე |
| მიც. | ერთსა(ა) და იმასვე | ერთთა და იმათავე |
| მოთხ. | ერთმა და იმა(ნ)ვე | ერთთა და იმათავე |
| მოქმ. | ერთითა და იმითავე | ერთითა და იმითავე |
| ცვალ. | ერთად და იმადვე | ერთად და იმადვე |
| წოდ. | (არა აქვს) | (არა აქვს) |

პიროვნებითი ნაცვალ სახელები მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი ლაპარაკსა და წერაში არ უნდა ვიხმაროთ, როცა თვით ზმნაში უკვე არის ეს ნაცვალ სახელი შემოკლებულის სახით. (ამის შესახებ იხ. „ზმნა"-ში), და თუ ვიხმართ, მაშინ-ღა უნდა ვიხმაროთ, როცა განსაკუთრებული მნიშვნელობა რამე უნდა მივაკუთნოთ ამა თუ იმ პირს. ეს განსაკუთრებული თვისება ქართულის ენისა და ბევრი ენა შემონატრებს ამ მხრივ ჩვენს ენას. ჩვენ კი ვამბობთ მე ვწერ მაშინ, როცა იმის თქმა გვინდა, რომ სახელდობ წერითა ვარ გართული და არა სხვა რითიმეო, და მე ვწერ-ს მაშინაც ვიტყვით, როცა გვინდა გავაგებინოთ სხვას, რომ სახელდობ მე ვწერ და არა ივანე და პეტრეო. ცხადია, პირველ შემთხვევაში ნაცვალ სახელი სრულიათ საჭიროების გარეშე ნახმარი, ამიტომ რომ იგი უკვე ჩანს თვით ზმნაში ვწერ, რომელიც თავისთავადაც პირველი პირია და სხვა დანარჩენ პირებისაგან ცხადათ განირჩევა. ხალხის ლაპარაკს თუ დავუგდებთ ყურს, შევამჩნევთ, რომ მის მიერ კანონი ენისა კარგათაა დაცული, ხოლო ჩვენ კი ვარღვევთ ამ კანონს რუსულის ენის გავლენით. ჩვენს ბელეტრისტებში მხოლოთ ისინი ერიდებიან საჭიროების გარეშე პიროვნებითის ნაცვალსახელების ხმარებას,—ვინც კარგათ უგდებენ ყურს ხალხის ლაპარაკს და მათთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. ასეთები სამწუხაროთ თითზე ჩამოსათვლელი არიან. ილია ჭავჭავაძისა („ოთარაანთ ქვრივი" განსაკუთრებით) და აკაკის შემდეგ შეგვიძლია დავასახელოთ ნ. ლომოური, ვ. ბარნოვი (ბარნოშვილი), ვას. ყიფიანი (დრამა „სამეგრელოს მთავარი ლევან"), სამნი ძმანი რაზიკაშვილნი და შალვა დადიანი. სიტყვამ მოიტანა და დიდათ დასანანია, რომ ხსენებულ მწერალთა ნაწერები დღემდე არ არის დაბეჭდილი ცალკე კრებულებად, ახალგაზდა და განსაკუთრებით მორუსულე მწერალთა სახელმძღვანელოთ. ძველ მწერალთა შორის საბა-სულხან ორბელიანის დახვეწილი და გამოკვართული ქართული ენა იდეალად უნდა ჩაითვალოს. პიროვნებითი ნაცვალსახელი, მაგალითათ, მისს ნაწერში თითქმის განდევნილია. თუ სადმე ათასში ერთხელ შეხვდებით, შეხვდებით მხოლოთ იქ, საცა უამისობა არ შეიძლებოდა. ნიმუშად ავიღოთ „სიბრძნე-სიცრუვითგან" მისი არაკი „მკალავი და ვირი", („სიბრძნე-სიცრუვე" გვ. 74). 12 სტრიქონიან არაკში პიროვნებითი ნაცვალსახელი მხოლოთ ორგან შეგვხვდებათ. აი თვით არაკიცა: „ერთი მკალავი იყო. ვირს საფქვავი აჰკიდა. წისქვილში წავიდა, დაფქვა და გამობრუნდა. გზაზედ ვირი დაუდგა. რა ველარ დასძრა, ჯიბეში ნიშადური ედვა, ქვაზედ დანაყა და ვირს კუდს ქვეშ ამოსცხო; ვირი ისეთი გაიქცა, მკალავი ველარ მოეწია. დაღონდა, ვირი არავინ მომტაცოსო, დამეკარქებაო. ცოტა ნიშადური თითონაც ამოისცხო, ეგება ვირს მოვეწიოვო. ისე გაშმაგდა მკალავი, ვირსაც გაუსწრო, სოფელი და თავისი სახლიც გაირბინა. ცოლს მისძახა: „ჩემი ნიშადური ცხარი იყო, მე ველარ დამდგარვარ და ვირს ეპატრონეო".

პიროვნებითთა ნაცვლსახელთა ბედს განიცდის კვლავმოლებითი ნაცვალსახელი რომელი-ც რუსული ენის გავლენით ესეც ხშირათ იხმარება, და ამით მართალია, ქართული ენის მიმოხვრა რუსულისას უახლოვდება, სამაგიეროთ თვით ქართული უსახურდება. ზოგია, უ-რომელი-ოთ ფრაზა ვერ უთქვამს და ვერც რა დაუწერია. ხალხურ ლაპარაკში როგორც პიროვნების ნაცვალ სახელსა, ისე რომელ-საც იშვიათათ მოჰკრავთ ყურს. იმის მაგივრათ ხალხი ხმარობს კვლავ მოლებითსავე ნაცვალსახელს რა, რაც-ს ან კავშირს რომ-ს. საცა ვიტყოდით: „ჩვენთა ექიმთა განცხადებებს, რომელიც გაზეთებში იბეჭდება, ყველის გასწორება სჭირია," იქ ხალხი იტყოდა: „ჩვენთა ექიმთა განცხადებებს, გაზეთში რომ იბეჭდება ხოლმე, ყველას გასწორება სჭირია"-ო. ვამბობთ: „აუარებელია ის შეცთომები, რომლებიც ქართულათ ლაპარაკის დროს მოგვდის ხოლმე". ხალხი კი „რომლებით"-ის მაგივრათ რაც-ს მიიშველიებდა და იტყოდა: „აუარებელია ის შეცთომები, რაც ქართულათ ლაპარაკის დროს მოგვდის ხოლმე". და სხ. და სხ.

**V. ზმნისზედი და ცვალებითი ბრუნვა.** ზმნისზედის მართლწერა ძალიან გვიჭირებს საქმეს, გაჭირება კიდევ იმისაგან წარმოდგება, რომ ზმნისზედა და ცვალებითი ბრუნვა კანკლედობის უარყოფის მიზეზით ერთიმეორეში გვერევა. ზმნისზედის დაბოლოებას ისე ვწერთ,

რი ექნება დაარსდეს იმისთანა სკოლა, რომელიც თავისი უვარგისობის გამო, ხალხის ნდობასა და ყურადღებას ვერ დაიმსახურებს.

სკოლის სული და გული მასწავლებელია და ამიტომ მის ამორჩევას განყოფილებამ უნდა მიაქციოს უპირველესი ყურადღება. საჭიროა იმისთანა მასწავლებელი, რომელსაც მოწოდება და საქმის სიყვარული აქვს, რომელიც ყურადღებას აქცევს პედაგოგიურს ლიტერატურას, აქვს საკმაო გამოცდილება ქართულს სკოლებში მეცადინეობით.

როგორც გადმოგვცეს, წ. კ. ს. სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი აპირებს თხოვნას ამ ადგილისას. ამ მასწავლებელს დიდი ხნის გამოცდილებაცა აქვს, მთავარ გამგეობის წინაშე თავისი მუყაითი და გულმოდგინე შრომით სახელიცა აქვს დამსახურებული. ჩვენთვის სასურველი იქმნებოდა სწორედ ეს მასწავლებელი ჩასდგომოდა სათავეში მომავალ სენაკის ნორჩ სკოლას. თუ ამ სკოლას იმისთანა მასწავლებელი ეწვევა, როგორებიც ზემოთ აღვნიშნე, ან იმისთანა მასწავლებელი, რომელიც მარტო ადგილით არის დაინტერესებული და არ შეუძლიან კი ჩასდვას თავისი სული და გული სკოლაში, ამისთანა სკოლა, ჩვენის აზრით, რომ არ დაარსდებოდეს, ისა სჯობია.

წევრი.

## ბალახანა და ტბილისის ნავთის სამრეწველო ამხანაგობა

მაისის რიცხვებში კრება ჰქონდა ტბილისის ნავთის სამრეწველო ამხანაგობას. უთათბირიათ თუ ვისთვის გარდაეცათ დირექტორობა, რომელსაც თავადი დადიანი ასრულებდა. ხმები მეტი ამოსვლია ბ-ნს აივაზოვს, მაგრამ, როგორც ამბობენ, ბ-ნი დადიანი უხერხულობდა სცნობს გარდაცემას დირექტორობისას, რადგანაც ნავთის წარმოების ნახევარი ეკუთვნის დადიანს, ნახევარი კი ემიროვს, აივაზოვს დელიანოვს; ბრაილოვსკის მამული უვადოთ აქვთ იჯარით აღებული.

ქავქავაძისა და არაფელოვისაგან, მოურავად ბატონი ა. ნ. კერესელიძეა, საქმეც კარგად მიჰყავს, და დიდს ყურადღებას აქცევს მუშა ხალხს. აქ მოსამსახურე მუშა მეტი წილი ქართველია. ბ-ნი კერესელიძე მეტად კეთილი გულით ეპყრობა უმუშევრებს სხვა მოურავებსა თუ პატრონებს ქართველი მუშა ეკლად ეჩხირებათ. ოდესმე ვინმე გაქსუებულ ქართველს ჩაუდენია რამე, მის დანაშაულს ყველას გვაწერენ და ყურის მგდებელი არავინა გვყავს. ბ-ნი დადიანიც გვივიწყებს, რომელიც აქამდე ნუგეშად გვეგულებოდა.

ტბილისის ამხანაგობის გვერდზე ბ-ნი მანსვეტაშვილის ნავთის მრეწველობაა. იქ მსახური ნოქრები მეტად ცეცხლს უკიდებენ მუშა ხალხს, არც გაჯოხვას აკლებენ, დათხოვნა ხომ უბრალო საქმეა. რო ჰკითხოთ რათა სცემთ მუშებს, ან რათა ლანძღავთო, გიპასუხებენ: დათხოვნას ცემა ურჩევნია, თუ არა სცემე, ვერ ამუშავებო. ეს, რასაკვირველია, არც მოურავმა იცის და არც მანსვეტაშვილმა, თორემ როგორ მოუწონებენ ასეთ საქციელს.

მუშები დათხოვნის შიშით ხმას ვერ იღებენ, გულში ხარშავენ ვარამს. ამ მრეწველობის მოურავად ბატონი კერესელიძეა და იმედია ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას— და ისეთსავე წესიერებას დაამყარებს, როგორც ტფილისის ამხანაგობაშია.

ბ-ნ ი. მანსვეტაშვილის სამრეწველოში წინანდელი შემოღებული პროცენტები არ მოუსპიათ მუშებისათვის, რისთვისაც მუშები დიდად კმაყოფილნი არიან. ეძლევათ მანეთზე აბაზი ჯამაგირზე. ეს ფული ური გდებათ წლის თავზე ერთბაშად.

პეტრი.

## წერილი ხონიდან

მეტის-მეტი უწესოება სუფევს პარკის ყიდვა-გაყიდვის დროს დ. ხონში. უპატრონობის გამო სასტიკად ატყუებენ ხალხს, როგორც წონაში, ისე ანგარიშშიაც. დღეს ყველა ჩარჩებად გადაქცეულა და ყველა გლეხს სწიწკნის რაკი დაინახეს რომ ჯიბეში ფული აქვსო, ყველა მათ მოეწია. ერთნი ურმის ბაჟის სახელით სძარცვავენ ხალხს. მეორენი პატიოსან ადამიანის სამოსელით, მესამენი ჩარჩის სახით და სხვა. ურმის ბაჟი, ეს არხივს ჩაბარებული ძველებური კანონი, ხონში ისევ ძალაშია. გვიკვირს, ეს დრო-მოჭმული ბაჟები ისეთმა ადამიანებმა შემოიღეს, როგორიცაა ერ. კაკაბაძე და ერ. ქავჰანიძე. ბაზარი როდისა ზრუნავს სოფლისათვის, რომ სოფელმა ბაზრისათვის იზრუნოს?! ბაზარში გაზით ასანთი ფარნები რომ დადგან, აქ სოფელი რა შუაშია? ეს ფარნები ბაზრისათვისაა საჭირო, ბაზარს ანათებს და არა სოფელს. სოფელსაც ბევრი რამ აკლია, მაგრამ ამ ნაკლის შესავსებად ბაზარს არასოდეს არ უზრუნია. თუ ბაზარი არ ზრუნავს სოფლისათვის, სოფელმა რად უნდა იზრუნოს ბაზრისათვის. ბაზრის რწმუნებულების მოქმედება მით უფრო დასაძრახისია, რომ ისინი კანონით უკვე გაუქმებულ ბაჟს მფარველობენ. დღეს, როდესაც დიდძალი პარკი შემოაქვთ ურმით, სარგებლობენ დროით და შაურის ნაცვლად ორ შაურს აძლევინებენ. ხალხი ხშირად რათა თავიდან აიცილოს ორშაურის გადახდა, ერიდება ბაზარში ურმით პარკის შემოტანას და გზაში ფარდულებში ჰყიდის. ფარდულებში კი პარკის ამწონნი ატყუებენ. მართალია უფრო სასარგებლოა ხალხისათვის ორი შაური გადაიხადოს, ბაზარში პარკი შემოიტანოს და აწონოს, მაგრამ ხალხს დღეს ამის შეგნება არა აქვს. კერძო ფარდულების პატრონები კი ამით სარგებლობენ, ინტელიგენცია არავითარ ზომებს არა ღებულობს, რომ ხალხი მძარცველთა ხელიდან დაიხსნას.

ბ-ნ იოსებ ქუთათელაძის წყალობით ბაჟები ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით უკვე მოიხსნა, 23 ივნისს. გუბერნატორის ამგვარი განკარგულებით უკმაყოფილონი დარჩნენ ხონის ვაჭრუკანები.

ბჭალელი.

## ხმა კახეთიდან

იქნება მკითხველმა არც-კი იცოდეს, როგორაა კახეთი ჩამორჩენილი სწავლა-განათლების მხრივ. ორიოდე სოფლის საანბანო სკოლა ვერ აკმაყოფილებს სწავლის მოთხოვნილებას. ყველგან მოსწავლეთა მრავალია, სოფლელნი აღარ გაურბიან სწავლას. ეგაა არსებულ სკოლებზეა შეჩერებული—პრაქტიკულ რაიმე ცოდნას მოკლებული ნაყოფი უმნიშვნელოა. არც სკოლების მომატება, არც რაიმე სამკურნალო ან სატეხნიკო ნაწილის გახსნა; თვით მცხოვრებნი უკიდურეს სიღარიბის გამო, მარტოდ-მარტო დღიურ ჰირვარამით და ცხოვრების ხახსარის გამოძებნით არიან გართულნი, არც შეგნება და გათვითცნობიერება უწყობთ ხელს და, ამათ რომ სკოლის გახსნაზე ხმა ამოიღონ, ეს ჯერ ოცნებას შეადგენს კახეთში. სოფლის მცხოვრებნი ჰსაჭიროობენ მეთაურის და საქმის მომწყობის გარდა, ჩაგონებას, ახსნას და საერთო საქმით დაინტერესებას.

ასევე ჩამორჩენილია მწიგნობრობითაც, რადგანაც თვით იგი წერა-კითხვის უვიცია და სხვა-კიდევ არავინ ჰყავს პატრონი, თორემ უნდა შევნიშნოთ, რომ სოფლელნი დღეს ძალიან ცნობა-გამოვიძებულნი არიან და. რომ ჰყავდეთ ვინმე ჟურნალ-გაზეთების ან წიგნების წამკითხველნი, სიამოვნებით დაუთმობენ მთელ თავის თავისუფალ დროს. როცა-კი მომხდომია სოფლად გავლა და მათთან ბაასი, ყოველთვის უკითხავთ რა არის ახალი ამბავი და თუ თან გაზეთის ნომერი მქონია, სიამოვნებით დაუგდიათ ყური. უამისოდაც აშკარაა, რომ წამკითხავი რომ ჰყავდეთ ვინმე, მსმენელი ბევრი იქნება, მაგრამ ჩვენი სოფელი მიაშორებულია ასეთ პირს, იგი მოკლებულია გულშემატკივრობას.

როგორც ყოველთვის ზაფხულობით, წელსაც დაბრუნდა კახეთში სოფლათ მოსწავლე ახალ-გაზრდობა, მემამულენი, რომელთა შორის ახალ გაზრდებიც ბევრია.

თითქმის იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა არ ესტუმროს ხოლმე და ამათ რომ ზაფხულის მარტო კვირა-უქმე დღეები შესწირონ ამ საქმეს: ქ-გაზეთებიდამ სხვა და სხვა გამოსადეგი ცნობები გადასცენ და პატარა ბელეტრისტული წიგნაკები უკითხონ, ამითაც დიდ სარგებლობას მოუტანენ.

საკმარისია კვირაობით კანცელარიასთან ან დუქანთან გამოჩნდეს ვინმე გაზეთით ხელში, რომ მაშინვე მიეხვევა ხალხი და თვითვე მიჰმართავს ასეთი თხოვნით. აქ ძალათ შეკრება და შრომის გაწევა საჭირო არაა. ყოველ წლიწადს რომ ასე ხდებოდეს, ძალიან დაინტერესდებიან და გათვითცნობიერების გზაზე დადგებიან, ისე რომ ძალაუნებურად მიეჩვევიან მწიგნობრობას და ნათლად დაინახავენ სკოლების და სწავლის საჭიროებას. მაშინ რასაკვირველია ადვილი იქნება როგორც სკოლების გახსნა, ისე ბიბლიოთეკებისა და სხვა საზოგადო და სასარგებლო საქმის გაკეთება.

იმედია ამ ზაფხულის ჩამოსულ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი მაინც, სასარგებლოდ გამოიყენებს სოფელში ყოფნას და ამ სახით თავის წვლილს შეიტანს სოფლელთა გათვითცნობიერების საქმეში, თორემ მთელი ზაფხული ფუჭსავატად დროს გატარება არ ეპატიებათ.

ამას გარდა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ზაფხულობით ბევრ სოფელში იმართება წარმოდგენები, მაგრამ სოფლელთ კი მის გარეშე სტოვებენ წარმოდგენებს ან საქველმოქმედო მიზნითა ჰმართავენ შემოსავლის გულისთვის ან კიდევ თელავიდან მოსულნი ამავე აზრით და ისეთ ფასებს აწერენ, რომ სოფლელნი სრულებით ვერ ესწრებიან.

ძალიან კარგი იქნება, ასეთი წარმოდგენები, თუ ამ მოსაზრებით (ფულის გულისთვის) უფრო ვერ გაიმართება, მეორე დღეს მაინც განმეორდეს ხოლმე განსაკუთრებით სოფლელთათვის. მხოლოდ სულ უფასოდ, მით უმეტეს ეს ძალიან ადვილი შესაძლებელია—არც ახალ მოწყობასა და არც ზედმეტ ხარჯს გამოიწვევს.

ეული.

## მოწერილი ამბები

სოფ. კურსები. ამ სოფელს, სწორედ რომ ვსთქვათ, კურორტს დასახვა უფრო შეჰფერის, რადგანაც, როგორც ქუთაისიდან ისე სხვა ქალაქებიდან, აქ არებული მთაკარაკენი აწვდებიან უთვალ წყლს. უთვალ მხრით მთები, შუაში მდებარე „წყალ-წითელა", სოფელში რკინის გზა და სადგური ბევრს იზიდავს. ჰავა სასუნთქავია; მაგრამ ამ სოფლის სააგარაკოდ გადაქმნას ხელი შეუშალა გოგირდის აბანოებმა, რომლებიც ოთხი ხუთი წლის წინედ ბ. მიხეილ არჯევანიძემ იჯარით აიღო და რამდენიმე ათასი თუმანი დახარჯა; მაგრამ სოფელი კი დაამშვენა საუცხოოდ, ევროპიულად გამართულ აბანოები, სასტუმროებით, ბაღებით და განათებით; ამ ჟამად სოფლელები უთვალ სადამოს სიმებიან ორკესტრს ისმენენ. სამწუხაროდ სოფლელებმა, იმის მაგიერად, რომ სახეიროდ მოიხმარონ კულტურასთან გამოცნობა, მიჰყვეს ხელი ბანქოს თამაშსა და ქეიფს.

ამ უზარ-მაზარ სოფელში სადაც ოთხი ეკლესია არსებობს, სრულიად არ ჰფიქრობენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, სკოლისას და სხვა დაწესებულების დაარსებას, მხოლოდ ვაჭრულმა ადამ კი იჩინა თავი. თუ წინედ სასოფლო უიდეა არ სჭირდებოდა სტუმარს, ეხლა სამაგიეროდ „ოტელის" ფასს ახდევინებენ, თითო ოთახში, მაგალითად, სეზონში სოფლელები იღებენ ხუთ-ექვს თუმანს, მაგრამ ეხლაც ამ ფასსადაც ვერ იშოვის კაცი ოთახს.

ერთი სიტყვით სოფელი კურსები განათლდა მაგრამ სოფლელები კი-ვერა. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ გლეხები ძლიერ უმეცრები არიან აზნაურთა და როდესაც საერთო საქმის გაკეთება უნდათ, უსათუოდ ასტეხენ ხმაურს დავიდარაბას, რასაც ზოგიერთი აზნაურები თავიანთ სასარგებლოდ უწყობენ ხელს. ამის მიზეზით დღევანდლამდე ხეირიანი გზა ვერ გაუკეთეს. სამაგიეროდ ქეიფი და ბანქოს თამაში ... თვის აქ სამოთხეა: დილიდან სადამომდე შეუძლიან ასეთ გასართობით ეტკბობოდეს. ამას ბილიარდიც უნდა დაუმატოთ.

ბ. არჯევანიძეს რომ მადლისთვის მარილიც-მდუღარე და სოფლელებისთვის წაგეწყობინა სკოლის და სამკითხველოს საჭიროება, უკეთესი იქმნებოდა.

მასვე შეუძლიან კვირა-უქმე დღეებში ადგილობრივ ახალგაზრდობის დახმარებით წარმოდგენების მართვა.

სტუმარი.

## შეცდომის გასწორება

(ბ. „ილიდუ"-ს წერილის გამო, იხ. „სახ. გაზ." N 326.)

„ნეტავი ახი დამკრან და ერთი მართალი მათქმევინონ" (ხალხური ანდაზა).

ამას წინედ, „სახ. გაზ."-ის 326 №-ში მოთავსებული იყო ბ-ნ „ილიდუ"-ს წერილი რედაქციის მიმართ „ქართველი კათოლიკე"-ს პასუხად, რომლის წერილი „სახ. გაზ."-სავე 268 №-ში დაბეჭდილი იყო, ახალციხის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვარი მიხეილ ვარძელაშვილის შესახებ.

ბ. „ილიდუ" ცილსა სწამებდა „ქართველ კათოლიკე"-ს, რომ ვითომ ტყუილ ცნობებს აქვეყნებდა მღ. ვარძელაშვილის შესახებ... ტყუილია, სწერდა „ილიდუ", რომ ვითომ მამა მიხეილს 1. დაემტვრიოს წმ. იოანე ნათლისმცემლის კედლის ქართულ წარწერიანი ქვები და მით მოესპოს ისტორიული წყაროებიო.

„ილიდუ" ცრუობს: მამა ვარძელაშვილმა ნამდვილად დაამტვრია 27 საფლავის ქართულ წარწერიანი ქვები, გარდა ერთის ტრაპეზისა, რაც თავის დროზე მოხსენებული მქონდა 1908 წლის „სიმადური"-ს 50 №-ში.

2, ამშენებელი კომიტეტის შეუკითხავად სრულიად არც დაუქცევია ძველი და არც აუშენებია ახალი ეკკლესიაო, იძახის „ილიდუ". მე კი ვამოწმებ, რომ მამა ვარძელაშვილმა მართალია აარჩევინა ხალხს აშენებელი კომიტეტი 7—8 კაცისაგან, მაგრამ კომიტეტისათვის არც ერთი კაპეიკის დახარჯვა არ შეუკითხავს და არც იცის კომიტეტმა, თუ რა დაჯდა ახალი ეკკლესიის შენობა. ამ სიმართლეს თვით აშენებელი კომიტეტიც დამიმოწმებს.

3, „ილიდუ" იმასაც სწერდა, ვითომ რომის კათოლიკეთა ეპისკოპოზს მოეთხოვოს მისთვის (მღ. ვარძელაშვილისათვის) ხარჯის წიგნები და შეემოწმებინოს ხარჯები და სისწორისათვის მისი უსამღვდელოების მიერ მადლობაც მიეღოს.

ესეც ტყუილზე-ტყუილია, რადგანაც რომის კათოლიკეთა ეპისკოპო-

---

თითქო ცვალებითი ბრუნვა იყოს. ცოტაოდენი-ღა დაკვირვებაა საკმაო, გასაჭირისაგან გამოგვიყვანოს. მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოთ იმ ზმნიზედებს, შეცთომაში რომ შეგვყავართ. ასეთნი არიან: 1. ადგილობითნი მოგვიგებენ კითხვაზე: სად? მაგ. ქვეყნათ, სოფლათ, ქალაქათ. 2. ვითარებითნი და მოგვიგებენ კითხვაზე: როგორ? მაგ. კარგათ, ცუდათ, მძიმეთ, მსუბუქათ, თეთრათ, შავათ, ნამდვილათ, დღიურათ, შარშანდებულათ და სხ. 3. განზრახვითნი და მოგვიგებენ კითხვაზე: რათ? რის გულისათვის? მაგ. საზიაროთ, საუზმეთ, სავაჭროთ, სამეზობლოთ, საბალახოთ და სხ. ყველა ამგვარს ზმნიზედებს ბოლოში თ უზის, ჩვენში კი თ-ის მაგიერ ყოველგან დ-სა წერენ. ასეთი მართლწერა (ანუ უკეთ უმართლო წერა) შემოიღო „ივერიამ" და მერე თვისს მიმდევრებს ამზითვა. და დღეს ისე შორს წავედით, რომ არამცთუ ხსენებულ ზმნიზედებს საბოლაო თ-ნს დ-ად ვუცვლით, არამედ ზმნის მრავლობითს მიმოხვრაშიაც სადაც თ-ნი შეგვხვდება, ყველგან დ-ად ვცვლით, რაიცა ხოველსავე უმგვანობას აღემატება. მაგ. ამბობენ: წავიდედ—წავიდეთ-ის მაგიერ, ეგრედ—ეგრეთ-ის მაგიერ, მოიტანედ—მოიტანეთ-ის წილ და მრავალი სხ. ჯერ-ჯერობით მარტოოდენ ბ-ნი სილ. ხუნდაძე ებრძვის ამ უსახურობას და ცდილობს კანონიერების გზაზე დაგვაყენოს ცთომილნი.

ამ არეულობის მიზეზად, ჩვენის დაუდევრობის გარდა, მიგვაჩნია ის გარეგნული მსგავსება, ზმნიზედის და ცვალებითის ბრუნვის დაბოლოებათა გამოთქმის დროს რომ არსებობს. გარნა საკმარისია ცოტაოდენი დაკვირვება და ფრაზის შედგენის დროს შესაფერ კითხვის დასმა ამა თუ იმ საეჭვო შემთხვევაში, რომ კანონი თავისთავათ ჩადგეს კალაპოტში და სისწორით გამოვთქვათ და სისწორითვე დავწეროთ ჩვენი ნათქვამი. მხოლოდ გვახსოვდეს, რომ ცვალებითი ბრუნვა აღნიშნავს საგნის გინა მცნების რისამე ცვალებას, ერთის ვითარების მაგიერ მეორე ვითარების მიღებას, ერთის მდგომარეობის მაგიერ სხვა მდგომარეობაში ჩადგომას და მოგვიგებს კითხვაზე რად? ქართველმა თავადმა მამული ფუჭად აქცია; ბავშვი ცრუმლად დაიღვარა: ქალი ენად გაიკრიფა. აქ ყველგან მუშაობს კითხვა რად? რად აქცია თავადმა მამული?— ფუჭად; რად გაიკრიფა ქალი?— ენად. რად დაიღვარა ბავშვი—ცრუმლად. და ყველგან ცვალებითი ბრუნვა და მისი დაბოლოება დ-ნი უნდა.

მოვიტანოთ უფრო ვრცლათ მაგალითები ცვალებითის ბრუნვისა და ყველა ხსენებულ გვარის ზმნიზედათა:

1 ადგილობითთა ზმნიზედათა მაგალითები: ზაფხულობით ქალაქითგან სოფლათ (სად?) გავიკრიფებით ხოლმე, ქალაქათ (სად?) ყველაფერი ძვირია; მენახირემ ნახირი მინდვრათ (სად?) გაშალა. 2. ვითარებითთა მაგალითები: მუშები ქარხანაში დღიურათ (როგორ?) მუშაობენ; დედაჩემი ავათ (როგორ?) არის; ჩემი შვილი ლამაზათ (როგორ?) ტიკტიკებს; კაბა შავათ (როგორ) შევაღებინე. 3. განზრახვითთა მაგალითები: „რათ მინდა ოქროს ლაკანი —ზედ სისხლი ჩამომდიოდეს (ანდაზა)" (ამ შემთხვევაში რათ იგივეა, რაც: რისთვის მინდა, რა საჭიროა, რა მგაპა); გლეხები ალზევანს წავიდენ მარილის მოსატანათ (რისთვის?); დიდმარხვის პირველ კვირას საზიარებლათ (რისთვის?) ვემზადებით ხოლმე; ხვალ სადილათ (რაით) ვარ დაპატიჟებული ნაცნობებთან; ეკლესიაში სალოცავათ (რისთვის) წავედით და სხ. და სხ. 4. ცვალებითის ბრუნვის მაგალითები: „ნეტავი რადმე შამქცია, ბულბულად (რად) გადამაქცია" (ხალხ. ლექსი); მადლი მატლად (რად) გადამექცა, ქალაქი სოფლად (რად) იქცა, სოფელი კი—ქალაქად; საუზმე სადილად (რად?) ვაქციე; „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად (რად) (შ. რუსთველი).

ზმნიზედისა და ცვალებითის ბრუნვის ერთმანერთში არევის მიზეზი ისიც არის, რომ განზრახვითის ზმნიზედის მასახიერებელს კითხვას რათ ს ისე ვწერთ, თითქო ცვალებითს ბრუნვაზე იყოს ნაცვალსახელი რა. მარად უნდა გვახსოვდეს, რომ რათ განზრახვითი ზმნიზედა, ხოლო რად ცვალებითი ბრუნვა არის, რა-რისაგან წარმოებული. რუსულათ რათ იქნება: почему, зачѣмъ, для чего, ხოლო რად—чѣмъ.

ქართულ ენის ერთი განსაკუთრებული თვისება გახლავსთ, რომლის ძალით შეგვიძლია მეტყველების ესა თუ ის ნაწილი და თვით მთელი წინადადებაც ვაქციოთ ზმნად, ზმნიზედად, დასართავსახელად და სხვა და სხვა. ავილოთ, მაგალითათ, ზმნიზედა სად. აქედან შეგვიძლია ვაწარმოვოთ: არსებითი სახელი—სადაურობა, დართვითი სახელი—სადაური, ზმნა—ვსადაურობ, სადაურობ და სხვა. ამავე კანონის ძალით ზმნიზედები: სად, როგორ, როდის, რისთვის, რით, არა და ნაცვალსახელები: ვისი, რისი შეგვიძლია თვითოეული მათგანი გადავაქციოთ დასართავ სახელად კუთვნილებითად და ასე ვთქვათ: სასადაო, საროგორო, საროდისო, სარისთვისო, სარითაო, საარაო, სავისო, სარისო და სხ. შემდეგ კი, ეგრეთმიღებულნი კუთვნილებითნი დასართავნი სახელნი, როგორც ყველა სხვა დასართავნი სახელნი, შეგვიძლია ვაქციოთ ზმნიზედებად: სასადაოთ, საროგოროთ, საროდისოთ, სარისთვისოთ, სარათაოთ, საარაოთ, სავისოთ, სარისოთ. აქ არ დაგვავიწყდეს, რომ ეს დასართავნი სახელნი აგრეთვე იბრუნვიან ამ სახით. მაგ. საროდისო.

| | მხოლობ. რიცხ. | მრავლობ. რიცხ. |
|---|---|---|
| სახ. | საროდისო | საროდისონი |
| ნათეს. | საროდისოსი | საროდისოთა |
| მიცემ. | საროდისოს(ა) | საროდისოთა |
| მოთხრ. | საროდისომ(ან) | საროდისოთა |
| მოქმედ. | საროდისოთ | საროდისოებითა |
| ცვალ. | საროდისოდ | საროდისოებად |
| წოდებ. | (არა აქვს) | (არა აქვს) |

მაშასადამე, აქაც სიფრთხილე გვმართებს, ზმნიზედა და ცვალებითი ბრუნვა ერთმანერთში არ ავურიოთ. მოვიტანოთ შესაფერი მაგალითები ჯერ ზმნიზედათათვის: ზაფხულში სააგარაკოთ (სასადიოთ?) მივდივართ ხოლმე, სააღდგომოთ (საროდისოთ) შაგირდები სახლში მიუხარიათ; საკარეთ ერთი კაბა მაცვია, საშინაოთ კი სხვა; საქმე საჰო-არაოთ არ უნდა გაიხადო; ეს ტანისამოსი საზეიმოთ მინდა; შინ საჩქაროთ დავბრუნდი და სხ. მაგალითები ცვალებითის ბრუნვისა: უხრიკავი სახრიკავად გავიხადე; უჭირო საჭიროდ გამიხდა; სადღეისო საქმე სახვალიოდ გადავაქციე; სავარეო კაბა საშინაოდ გავიხადე და სხ.

იმერეთში ყალბათ ხმარობენ კითხვა რისთვის-ის ალაგზე რაზე-ს (იგივე რისაზედა). ამ სიყალბემ უკვე მწერლობაშიაც იჩინა თავი. და გაზეთში ასეთ უემურობას რასმე კითხულობთ: „რაზე დაჰკრა ერთბაშათ ბუკი და ნაღარა ქართულმა პრესამ"... თითქო ამ კითხვით იმის გაგება უნდოდეს დამწერს, თუ რა ნივთზე (მაგიდასა, ქვასა თუ სხვა რაზედმე) დაჰკრა ბუკი და ნაღარაო. თუ ამის გაგება უნდოდა, ცხადია, სრულად უაზრობა ყოფილა მისი ცნობისმოყვარეობა. არა, დამწერს ისა სურდა, გაეგო, თუ რა მიზეზით, რისთვის ასტეხა ქართულმა პრესამ განგაშიო. ამიტომ ასე უნდა ეთქვა: რისთვის (ნათესაობითი ბრუნვა, და არა რაზე—მიცემითი ბრუნვა) დაჰკრა პრესამ... და სხ. არ ითქმის: რაზე არ მითხარი? არამედ: რისთვის, ან რატომ არ მითხარი და სხ.

ზმნიზედი შემდეგ ჩვენში დასართავსახელის შემდეგი-ს მაგიერ იხმარება ძალიან ხშირათ და ნათქვამნაწერის აზრი ბუნდოვანდება და ხანდისხან სრულიათ ურჩინარდება კიდეც. მაგ. „შაგირდი შემდეგ კლასში გადავიდა". ასეთი წინადადება რომ გესმისთ, არ იცით, როგორ უნდა გაიგოთ: ისე, ვითომ შაგირდი ერთ კლასიდან შემდეგში გადავიდა, თუ ჯერ რამე ამბავი მოხდა და ამ ამბავს შემდეგ კლასში გადავიდა შაგირდი? თავს ძალა უნდა დაატანოთ, რომ მიხვდეთ, შაგირდი ერთ კლასიდან შემდეგს კლასში გადასულაო. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ დასართავი სახელი შემდეგი მიცემითს ბრუნვაზე, ასე: შემდეგს. თვალყური უნდა გვეჭიროს, რომ მიცემითის ბრუნვის დაბოლოებას-ს არ აკლდეს, თორემ დაემსგავსება ზმნიზედა შემდეგ-ს და აგვირევს აზრის მიმდინარეობას (მსგავსათ მათ-ის და მათი-სა, იხ. ზემოთ).

რაკი ზმნიზედა შემდეგ-ის შესახებ ჩამოვაგდეთ სიტყვა, მარემ ისიცა ვთქვათ, რომ როცა სახელის უკანა ზის, თვით სახელი მიცემითს ბრუნვაზე უნდა დაისოს, მაგ: ამას შემდეგ; ხოლო როცა წინა ზის—ნათესაობითსა, მაგ. შემდეგ ორის კვირისა და სხ.

ბრუნვა ზმნიზედსთან შეთანხმებულ სახელისა. ადგილობითნი ზმნიზედანი: ქვეშ, მაღლა, უკან, წინ, შორის, შუა, ახლო, პირდაპირ, გაღმა, იქით გამოღმა, მარცხნივ და სხ. მიცემითს ბრუნვას თხოულობენ, თუ სახელი ამ ზმნიზედათა წინა ზის: მაგ. სახლს უკან, კაცი დგას (და არა სახლის უკან, როგორც დღეს ამბობს უმეტესობა ჩვენგანი), შენს იქით ხსნა არა მაქვს, „წყალს გაღმა დაედევე, გამოღმა შენ დაგრჩებაო" (ანდაზა), სოფელსა და სოფელს შუა. ხოლო თუ სახელი ზმნიზედას უკანაა, მაშინ კი ნათესაობითი ბრუნვა უნდა. მაგ. წინაშე ღვთისა დიდია მსხვერპლი; მე ვიჯექი მარცხნივ იმ კაცისა და სხ.

თ. ხახუტა.

(დასასრული იქნება)

ზის მართველობისაგან ორი წელიწადია რაც ქართველი კათოლიკები გამოვიდნენ და იგინი დაექვემდებარენ არხიმანდრიტ ტერ-აბრაამიანს, რომელიც მართავს სომხის ტიბიკონის ქართველ კათოლიკობას და ამის გამო რომის კათოლიკეთა ეპისკოპოზს აღარ შეეხება ქართველი კათოლიკების მართველობა და ვერც მოსთხოვდა ვარძელაშვილს ანგარიშების წიგნებსა და ვერც მადლობას უძღვნიდა.

4, „ილედუ“ იმასაც უცრუებს „ქართველ კათოლიკე“-ს, რომ ეკკლესიის გეგმა გუბერნატორის მიერ დაუმტკიცებელი არა ყოფილიყოს.

და თუ ეს მართალი იყოს, რომ გუბერნატორის მიერ ნამდვილად დამტკიცებული იყო გეგმა, მაშ რატომ უარი უთხრა და საჩივლელად გაახდევინა საქმე მამა ვარძელაშვილმა, როდესაც კომიტეტმა ახალი ეკკლესიის შენობის ტეხნიკურად შემოწმება ითხოვა.

5, ბ. „ილედუ“ იმასაც ამტკიცებს, რომ ეკლესიის შენობას ტეხნიკი ბარონი თავს ადგა ხოლმეო და იმის ზედამხედველობაში აშენდაო საკვირველია, ტეხნიკი ბარონი ორ წელიწადზე მეტი იქნება, რაც ახალციხიდან სხვაგან შორს გადაიყვანეს და ეკკლესიის შენობა კი შარშან დამთავრდა.

ამ ჩემი ცნობების სინამდვილეს, რომ ბ. „ქართველი კათოლიკე“ ამ საქმის შესახებ, „სახ. გ.“-ის 298 №-ში კაკლა კაკლა სიმართლეს სწერდა და ბ. „ილედუ“ კი ცილსა სწამებს ქართველ კათოლიკეს და სულ ტყუილ საბუთებზეა შეთხზული მისი წერილი, ამ სიმართლეს თვით ამშენებელი კომიტეტიც დაამოწმებს, ე. ი. დაამოწმებს იმას, რომ ბ. „ილედუ“ ტყუილუბრალოდ მხარს უჭერს მღ. ვარძელაშვილსა. ვარძელაშვილი რომ მართალი ყოფილიყო, მე მგონია, თვითონაც კარგად უპასუხებდა „ქართველ კათოლიკეს“ და რაღა საჭირო იქნებოდა „ილედუ“-ს დახმარება.

**კუნაპეტი.**

# სპარსეთი

**დეპეშები.**

6 მკათათვე.

**ლონდონი.** რეიტერს თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ, შახად ნამყოფი სპარსეთში დაბრუნდაო. რამდენი კაცი ახლავს თან, არ იციან.

**თეირანი.** იტყობინებიან, შახად ნამყოფი გიუმეშტეპეში გემით მოვიდა და თურქმენები, მაზანდერანელები და რეთმიდუდ-სულთანი დაიბარაო. ხვალ მუჰამედ-ალი ასტრაბადს მიდის.

**თეირანი.** რეგენტისა და მეჯლისის დიდი თხოვნით, საპეხდარი პირველ მინისტრად დარჩენას დასთანხმდა, მაგრამ პორტფელს კი არ ჩაიბარებს. სამხედრო მინისტრად დაინიშნა სადსამუს-სალთანე, შინაგან საქმეთა მინისტრად ვუსუჯე-დოულე, დანარჩენი მინისტრები ისევ ძველები არიან. თეირანში სამხედრო წესების გამოცხადება და ბახტიარების დაბარება უნდათ.

**რეშტი.** მუჰამედ-ალი-შახმა ასტრაბადის ვიცე-გუბერნატორს წინადადება მისცა, ქალაქში დარჩეს და წესიერება დაიცვას. მაზანდერანში ნავები გაიგზავნა და იზმაილ-ხანს, ემისი მუკერემს და რეშიდუს-სულთანს ასტრაბადს მისვლა ებრძანა. ასტრაბადის მცხოვრებთ და ენჯუმენს მოლაპარაკება ჰქონდათ და გადასწყვიტეს შახად ნამყოფს მორჩილება გამოვუცხადოთო. მუჰამედ-ალი-შახი ქალაქში 7 მკათათვეს მივა.

# ევროპა და მაროკო

**გაზეთებიდან.**

ნელ ნელა ირკვევა, თუ რასა თხოულობს გერმანია. მაგ. აქამდის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კონგოს შესახებ, გერმანია მხოლოდ საზღვრებზე დაიწყებდა ლაპარაკს, ეხლა კი გამოირკვევა, რომ გერმანია კონგოში ლიბრვილლსა თხოულობს. ლიბრვილლი დასავლეთ აფრიკაში საუკეთესო ნავთ-საყუდარია. მაროკოში კი, გერმანიას მიწა-წყლის შეძენა არა ჰსურს, იგი აქ მხოლოდ ყველა სახელმწიფოსათვის თავისუფალ ვაჭრობასა თხოულობს. ამის გარდა, მას უნდა, რომ რკინის გზების გაყვანასა და სამთო საქმეში გერმანიის კაპიტალმაც მიიღოს მონაწილეობა და ამავე დროს მაროკო ხელ-უხლებლად დარჩეს. საფრანგეთის ელჩმა კიდერლენ-ვეხტერს საფრანგეთის პირობები შეატყობინა, ამის შემდეგ კიდერლენ-ვეხტერი კრონ-პრინცთან იყო და ორ საათს ესაუბრა. იმპერატორმა ვილჰელმმა კრონ-პრინცს უბრძანა, მოლაპარაკებას თვალ-ყური ადევნე და ყველაფერი დაწვრილებით შემატყობინე ხოლმეო.

ისპანიამ ასეთი პასუხი მისცა საფრანგეთს: საფრანგეთის ნოტაში მოხსენებული ამბები სწორე არ არის. პოლკოვნიკ სილვესტრს ჩვენგან ნაბრძანები აქვს, არავითარი უთანხმოება აღარ მოახდინოსო. დაკმაყოფილდა საფრანგეთი ამით თუ არა, ჯერ არ ვიცით, მაგრამ ასეთი ამბავი მოვიდა, ფრანგების გენერალმა მუანიემ მეკინესისაკენ გალაშქრება გადასწყვიტა, რომ იქ მყოფი ისპანელები გაჰრეკოს და ქალაქი დაიჭიროსო.

აგადირიდან დაბრუნებული კანონერკა „პანტერა“-ს ისპანელი მეზღვაურები კორუნიეში დიდი ამბით უპირებენ დახვედრას. ამ პატარა ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.**

— საფრანგეთის სოციალისტებმა გადასწყვიტეს, მთავრობას მოსვენება არ მისცენ იმ დრომდის, ვიდრე იგი რკინის გზის დათხოვნილ მუშებს უკან არ მიიღებს. ასეც მოიქცნენ. 28 თიბათვეს პალატაში სოციალისტებსა და რადიკალებს დიდი შეტაკება მოუხდათ; შეტაკება კინაღამ მუშტი-კრივად არ იქცა. ერთმა სოციალისტმა მთავრობას წინადადება მისცა, ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთ ამნისტია გამოვუცხადოთო, კაიომ უპასუხა, ამ ერთი წლის განმავლობაში რკინის გზებზე 2.936 შემთხვევა იყო გზების გაფუჭებისა, ამან გაფიცულებს ხალხის თვალში სახელი გაუტეხა და ეხლა რომ ამნისტია გამოვაცხადოთ, არ ივარგებსო. ამის შემდეგ პალატამ სოციალისტის წინადადება არ მიიღო. ამის საპასუხოდ სოციალისტმა ტომამ მეორე წინადადება შეიტანა, მთავრობამ ძალა დაატანოს რკინის გზების სამმართველოებს, რომ დათხოვნილი მუშები მიიღოსო. კაიომ ესეც უარჰყო, ეს შეუძლებელიაო. ჟორესმა ამაზე უპასუხა: ბატონი თავმჯდომარე სამინისტროსი მონისის სამინისტროს წევრი იყო, ამ სამინისტრომ კი პირობა მოგვცა დათხოვნილ მუშებს მივიღებთო. თუ კაიო ამის წინააღმდეგი იყო, რაღათ დარჩა მინისტრად? ამ დროს ერთმა მემარცხენე დეპუტატმა დაუყვირა ჟორესს: მთავრობა თავის ადგილას დარჩება, ჩვენ იმ დრომდის დავუჭერთ მას მხარს, ვიდრე თქვენ, სოციალისტები, მის წინააღმდეგ იმოქმედებთო. მონისმა უპასუხა ჟორესს: ჩვენ დემოკრატიულ რეფორმების მომხრენი ვართ და არა დემაგოგიისაო. ჟორესი გაბრაზდა. უსაზიზღრესი დემაგოგია ის არის, რომ ადამიანი ხალხს რასმე დაჰპირდება, ძალას ხელში ჩაიგდებს და მერე ჰფიქრობს, რომ დანაპირების უკან წაღებით უფრო მაღლა აიწიოს. რადიკალთა პარტიამ, ეხლა უნდა დაგვიმტკიცოს, სურს მას რომ რეაქციონერთა პარტიად იქცესო. ამ სიტყვებისთვის რადიკალებმა ყვირილი ასტეხეს. სოციალისტები და რადიკალები ერთმანეთს აგინებდნენ. ისმოდა სიტყვები: მყრალებო, ქუჩის ბიჭებო, შარლატნებო. პალატის თავმჯდომარემ ქუდი დაიხურა და კრება შესწყვიტა, ხოლო ბოქაულებმა ძლივს მოახერხეს და საჩხუბრად გამწვავებული დეპუტატები ძლივს დააშოშმინეს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 მკათათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**სტამბოლი.** ალბანიიდან იტყობინებიან, სამხრეთ ალბანიაში აჯანყება ძლიერდებაო. ჯარსა და აჯანყებულთ შეტაკება უოველ დღე მოსდით.

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ სკუტარში გზა ტაქციდის გაყვანასა და ბოიანის გადრმავებას ეხლავე შეუდგეს და ამით ალბანელებს საქმე გაუზნიოს. გადაწყვეტილია აგრეთვე ადრიანტიის გზის გაყვანასაც მალე შეუდგეს.

**პარიზი** ანგლიის გაგზლის მიხედვით მატარებლის გადაბრუნებასა სცდილობდნენ.

**ბერლინი.** „ფოსიშე-ცეიტუნგს“ გიუსცბურგიდან ატყობინებენ ჭამელბურგის სამხედრო ველზე ღამე დაატუსაღეს იაპონელი მაიორი, რომელიც საიდუმლო ფარნით ახალ სისტემის ზარბაზნებს ათვალიერებდა.

**კარდიფი.** გაფიცულმა მეღვაურებმა ქუჩებში დემონსტრაციები გამართეს. ნავთ-საამშენებლოში ცეცხლი გაჩნდა, ამბობენ, ცეცხლი განგებ გააჩინესო. ბრბო ცეცხლის მქრობელთ ცეცხლის ჩაქრობის ნებას არ აძლევდა და პოლიციელებს ქვას უშენდა. ერთი პოლიციელი მძიმედ დაიჭრა.

**პარიზი.** კაიო გარეშე საქმეთა და სამხედრო მინისტრებს ესაუბრა.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცებული სამხედრო საბჭოს დადგენილებით ზაურიად-პრაპორშჩიკებს, რომელნიც ველდფებელის ჩინში მსახურობენ და პოდპრაპორშჩიკებს ნება ეძლევათ გამოცდა დაიჭირონ სამკლასიან სამხედრო სასწავლებელში, საერთო დებულების მიხედვით, თუ 28 წლის მეტისა არ იქნებიან; სასწავლებელში შესვლის შემდეგ ისინი ჩაირიცხებიან იუნკერთა შტატში და თავის ნაწილისაგან დროებით გაგზავნილად ირიცხებიან. ცოლიანები არ მიიღებიან. სასწავლებელში ყოფნის დროს მათ მიეცემათ თავიანთი ჯამაგირი და წოდება; ნაბრძანები აქვს სამხედრო უწყებას 1910 წ. 16 სექტემბერს და № 539 ამით ისპობა.

**ეკატერინბურგი.** ლიანდაგიდან გადავარდა ბილიმბაის სადგურზე მატარებელი. 5 ვაგონი დაიმტვრა, 4 კონდუქტორი დაჭრილია.

**ოდესსა.** რადგანაც უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ფეშქოების მომხდენი ვერ ამოაჩინეს, საქმე პოდპატაში მოსპო.

**მოსკოვი.** ჭლექის წინააღმდეგ მომქმედი ლიგის წინადადებით შეიკრიბება მორიგი საერთაშორისო კონფერენცია ჭლექის წინაღმდეგ საბრძოლველად.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ კეთილ ინებოთ და თქვენი რედაქციის სახელზე ჩვენ მიერ გამოგზავნილი ფული (4 მან. და 20 კ.) გადასცეთ „წერა-კითხვის საზოგადოების“ მთავარ გამგეობას. ეს ფული მოგვრჩა ჩვენგან ძვირფას შიო ჩიტაძის სულის მოსახსენებლად დანიშნულ პანაშვიდისათვის მოგროვილ თანხიდან. პანაშვიდი ჩვენის თაოსნობით გადახდილ იქმნა კვირას, სამს ივლისს, ადგილობრივ საკათედრო ტაძარში.

**ჯგუფი ფოთელ ახალ-გაზდობისა.**

—

**პასუხად დ. კასრაძეს.**

ბ-ნო დავით, მე ბევრჯერ გთხოვეთ ეს, რომ თარგმანი მიბოძეთ და დანარჩენი ფულიც წაიღეთ მეთქი. ამაზე უარის თქმა, მგონია, არ შეგიძლიანთ, რადგან ეს ჩვენს საიდუმლოებას აღარ შეადგენს და უკვე მრავალმა საპატიო პირმა იცის. დიდი სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას, რომელიც „სახ. გაზ.“ № 344-შია. მოიტანეთ სრული თარგმანი ბ-ნ აკაკი ჩხენკელის ბინაზე დღეს, 8 ივლისს, 10 საათზე და მიიღეთ დღესვე რაც გერგებათ სრულიად.

პატ. წიგ. გამომც. გამგე

**კ. თაგართქილაძე.**

P. S. მე უფლებას ვიტოვებ, რომ სამედიატორო სამართლით გაგისწორდეთ. **კ. თ.**

—

**ხარაგოული.** „სახალხო გაზეთის“ მე-340 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ რისხვის წერილი დ. ხარაგოულიდან, შესახებ აქ მომხდარ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების კრებისა. ბ. კორესპონდენტი სწერს, ვითომ მე გავლაშქრებულიყავი ქართული ენის წინააღმდეგ. საქმე ასე იყო.

მე ვსთქვი: „რადგანაც კრების ინტერესები მოითხოვს აზრის თავისუფალი ენით გამოთქმას, და ჩვენ კი, ჩვენდა სამწუხაროდ, არც ქართული და არც რუსული კარგად არ ვიცით, ამიტომ ვისაც რომელ შემთხვევაში რომელ ენაზე უფრო მოემარჯვოს ლაპარაკი, ისე ილაპარაკოს-თქო“.

**ხ. ლ.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. ხაღ. 10 ს. 10 წუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო** მატ. დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული მატ.** № 107, მეოთხ. კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარაში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) **ჩქარი მატ.** № 2, I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად, 1 ს. 44 წ., ბალაჯარაში საღ. 10 ს. 2 წ.. ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

**შერეული** მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარაში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისკენ:** 1) **სახალხო** მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) **სახალხო** მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) **სამგზავრო და საქონლ.** N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** ჩქარი მარარ. პლატხკ. N 1 I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

**ბათომიდან:** სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ. ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ერევნიდან:** სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათომისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ, ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით

ბათომიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით

მორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

**სახალხო მატ.** N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4ამ, 3 ს. 26 წ.

**სახ. მატ.** № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

**სახ.** მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილისბაქოკისლავოდსკამდე, საერთაშორისო სამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა სააგარაკო № 76, 77, 76a, 77a.

4) **შერეული** სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა საჭიროების მიხედვით ივლის.

**ნ ი ხ რ ი**

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლეებთან მოურიგებლად).

| | | |
|---|---|---|
| 1. | ქალაქში ერთ ადგილამდე | 40 კ. |
| 2. | ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან | 70 „ |
| 3. | ვაგზლიდან ქალაქში | 70 „ |
| 4. | ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ. | — |
| 5. | ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში | 40 „ |
| 6. | ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე | 50 „ |
| 7. | მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან | 80 „ |
| 8. | ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში | 50 „ |
| 9. | ფუნიკულერის სადგურამდე | 50 „ |
| 10. | იქიდან უკან დაბრუნება | 40 „ |

# განცხადებანი


## დოქტ. ნაკასარდიანისა

უოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნაკასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი:** 6—6 ს. საზებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინ.-განი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606 წამლობა, კონსულტაციურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის

**დოქტორი ბ. ა. ნაკასარდიანი.**

(წ. (1168—76)

კ რ ე მ ი

„მეტამორფოზა“

ამხ

ა. მ. ოსტროუმოვისა

სრულებით აშრობს

ჭორფლსა და ნასიცხს

და კანსაც იფარავს, რომ მეორედეთ აღარ გამოაჩნდეს.

ვისაც ჭორფლი არა აქვს და უნდა რომ არც გამოაჩნდეს

ვურჩევთ იხმარონ კრემი

„ალბადერმა“

რომლის ნაწილიც შეზავებულია კრემ მეტამორფოზაში.

მოითხოვეთ ყველგან.

Мецль N 253950 (10—1382—1)

საააქციონერო საზოგადოება

„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია“.

იზმაილოვის პროსპექტი, № 27.

პარიზი 1900 წ. ოქროს მედლები მოსკოვი 1896 წ.

# გლიცერინი ველური.

საშუალება, რომელიც კანს ინახავს ჭორფლისა, ფერიმჭკნელობა, სახის სიწითლისა, ქარის დაკვრისა და სიცივის გავლენისაგან.




„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიის“ საზოგადოება თხოულობს, რადგან ყალბი ნაწარმოებიც ჩნდება, მიაქციონ ყურადღება ფირმის სახელწოდებას, რომელიც სამი სიტყვისაგან შესდგება:

„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია“,

და ნიშანს საზოგადოებისას, რომელზედაც გამოხატულია ძეგლი „იმპერატორ პეტრე დიდისა“, ს.-პეტერბურგში, სენატის მოედანზე დადგმული.

მ თ ა ვ ა რ ი ს ა წ ყ ო ბ ი: ტფილისი, საააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(13—1296—2)

# მამული

**500 დესეტინა.** — რომელიც შეადგენს ერთიან ნაწილს, გამიჯნულს და თავისუფალს ყოველი დავისაგან,

**იყიდება.**

ამ მამულს აქვს 10,000 მან. ბანკის ვალი, სალი მთის ჰავა, კარგი წყაროს წყლები, იგი შეიცავს ახალმოზარდ ტყეს და 200 დეს. მეტს შავ და ურწყავ სახნავ მიწას. მცხეთის სადგურიდან (ამიერ კავკასიის რკინის გზისა) 20 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

მიმართვა შეიძლება პირადათ ანუ წერილით, შემდეგის ადრესით: **ტფილისში, თონეთის შესახვევი, სახლი № 5, ნ. ა. ყიფიანს.**

(3.712.2)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

# ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

**პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).**

**ხიზილალა**

**ახალი (Зернистая).**

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

**მივიღეთ საუკეთესო ჰაიხუნი ხიზილალა**

**გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ. დან 2 მან. 40 კ.-დე. წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.**

**და ბელა-რიბიც 50 კ.**

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)


სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**